ამონაწერი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 28 დეკემბრის სხდომის № 8
ოქმიდან

სხდომას ესწრებოდნენ: გაგა ლომიძე (სხდომის თავმჯდომარე), ირმა რატიანი, მაკა ელბაქიძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი, ივანე ამირხანაშვილი, ირაკლი კენჭოშვილი, მაია ნინიძე, მაია ჯალიაშვილი, ლევან ბრეგაძე, დარეჯან მენაბდე, ზაზა აბზიანიძე, როსტომ ჩხეიძე, თამარ ბარბაქაძე,

დღის წესრიგი: 1. ინსტიტუტის ახალი სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულების - „ტექტოლოგიის კვლევის ცენტრისა“ და„ ციფრული ლიტერატურის ლაბორატორიის“ ხელმძღვანელების ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადების განხილვადა დამტკიცება.
მოისმინეს: საბჭოს თავმჯდომარემ, გაგა ლომიძემ, დამსწრეთ აცნობა, რომ თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცდა ცვლილებები ინსტიტუტის დებულებაში, რომლის საფუძველზეც ინსტიტუტს დაემატა ორი სამეცნიერო- სტრუქტურული ერთეული: „ტექსტოლოგიის კვლევის ცენტრი“ და ციფრული ლიტერატურის ლაბორატორია“. შესაბამისად, საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი ამ სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად. მანვე, საბჭოს განსახილველად წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი, რომელშიც ასახულია კანდიდატებისათვის დადგენილი მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის სახეობები, წარმოდგენის ვადები და სხვა პროცედურული საკითხები (აღნიშნული განცხადება ოქმს თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს: ირმა რატიანმა, როსტომ ჩხეიძემ, მაია ნინიძემ, ლევან ბრეგაძემ, ზაზა აბზიანიძემ. გამომსვლელებმა მოიწონეს კანდიდატებისათვის დადგენილი აუცილებელი მოთხოვნები; იმსჯელეს და დაადგინეს არჩევნების ჩატარების კონკრეტულ თარიღი, რის შედეგადაც,
ღია კენჭისყრის საფუძველზე, მიიღეს განცხადების საბოლოო ტექსტი.

დაადგინეს:

- **კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 29 დეკემბერს.** საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს **2023 წლის 16 იანვრიდან 2023 წლის 20 იანვრის ჩათვლით,** 11:00-დან 16:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №5, კანცელარია. სამეცნიერო საბჭოს სხდომის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს **2023 წლის 15 თებერვლისა.**
- განცხადება წარედგინოს თსუ შესაბამის სამსახურს თსუ ვებგვერდზე განსათავსებლად.

სხდომის თამჯდომარე: /გაგა ლომიძე/

სხდომის მდივანი: მ. ტყეშელაშვილი / მირანდა ტყეშელაშვილი/